ოქმი

„საქართველოს მთავრობას და უკრაინის მთავრობას შორის „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და უკრაინის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ 1995 წლის 9 იანვრის შეთანხმებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

საქართველოს მთავრობა და უკრაინის მთავრობა (შემდგომში „ხელშემკვრელი მხარეები“) შეთანხმდნენ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და უკრაინის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ 1995 წლის 9 იანვრის შეთანხმებაში (შემდგომში „შეთანხმება“) შეიტანონ შემდეგი სახის ცვლილება:

1. შეთანხმების პირველი მუხლის მე–2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ შეთანხმების მიზნებისათვის და მისი მოქმედების პერიოდისათვის ხელშემკვრელ მხარეთა სახელმწიფო ტერიტორიიდან წარმოშობილი საქონლის განსაზღვრისას, ხელშემკვრელი მხარეები იხელმძღვანელებენ:

ა) დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მეთაურთა საბჭოს 2000 წლის 30 ნოებერს, ქ. მინსკში ხელმოწერილი გადაწყვეტილებით – საქონლის წარმოშობის სახელმწიფოს განსაზღვრის წესის შესახებ ან

ბ) პან-ევრო-ხმელთაშუა ზღვის პრეფერენციული წარმოშობის შესახებ რეგიონული კონვენციის დებულებებისა და დანართების შესაბამისად.“

2. წინამდებარე ოქმი წარმოადგენს შეთანხმების განუყოფელ ნაწილს და ძალაში შედის ხელშემკვრელი მხარეების მიერ ძალაში შესვლისათვის აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შესახებ უკანასკნელი წერილობითი შეტყობინების მიღების დღიდან.

შესრულებულია, ქ. კიევში, 2019 წლის 21 მაისს ორ პირად, თითოეული ქართულ, უკრაინულ და რუსულ ენებზე. ამასთან ყველა ტექსტი თანაბრად ავთენტურია.

ხელშემკვრელ მხარეთა მიერ წინამდებარე ოქმის დებულებათა განსხვავებულ განმარტების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ტექსტს რუსულ ენაზე.

საქართველოს მთავრობის სახელით	**უკრაინის მთავრობის სახელით**
ხელმოწერილია	ხელმოწერილია